



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 2 (10.157)

8-15 თებერვალი 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროში ორი ახალი სკოლა შენდება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჯინჭარაძე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი კუპრაძე, ამავე სააგენტოს მოადგილე ლევან მუშუკუდიანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი ქალაქ დე-



ბლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

გიორგი ჯინჭარაძე: „განათლების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი არის სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. დღეს ვიმყოფებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მშენებარე სკოლებში, სადაც გვეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს სამუშაოები. სულ მალე ჩვენი მოსწავლეები საერთაშორისო სტანდარტებს მორგებულ სასწავლო დაწესებულებებში გააგრძელებენ სწავლას.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ახალი სკოლები არა მხოლოდ დედაქალაქში შენდება, არამედ რეგიონებშიც. მიხარია, რომ ამ პროექტების დასრულების შემდეგ 800 ბავშვამდე თანამედროვე და კეთილმოწყობილ გარემოში მიიღებს განათლებას.“

ქეთევან ოთარაშვილი, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექტორი: „ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სკოლის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და მალე ბავშვები თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგრძელებენ სწავლას.“

დედოფლისწყაროსა და ზემო ქედის N1 საჯარო სკოლების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნენ.

სკოლებში სასწავლო სივრცეების პარალელურად, მოეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული და სააქტიუ დარბაზები.

სკოლების ინფრასტრუქტურა იქნება სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სკოლების მშენებლობას საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტროს სსიპ საგანმანათლებ-



გზის რეაბილიტაცია ჭავჭავაძის ქუჩაზე



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილი და მერის მოადგილე გელა სამუკაშვილი ქ. დედოფლისწყაროში ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელებმა მოსახლეობის საჭიროებები პირადად მოისმინეს.

„ეს არის ჩვენს ქალაქში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქუჩა, სადაც ახლო მომავალში სავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდება“ - განაცხადა მოსახლეობასთან ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10(ათი) წლის ვადით გადასაცემად

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10(ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

Table with 9 columns: N, მისამართი, ქონების დასახელება, საკადასტრო კოდი, ფართობი, ქონის წლიური საფასური (ლარებში), „ბე“ საწყისი ფასი (%), „ბიჯი“ საწყისი ფასი (%), „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საჯარო აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

Table with 9 columns: ლოტი, მისამართი, ქონების დასახელება, ფართობი კვ.მ., საკადასტრო კოდი, საწყისი საპროცენტო ზეობა ფასი(ლარებში), „ბე“ საწყისი ფასი (%), „ბიჯი“ საწყისი ფასი (%), „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - თამარ გოგილაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრაციის (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თამარ გოგილაშვილი) ნარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- 1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა - 220101222;
კოდი - 300 533 047 (მინის ნაკვეთის იჯაროდან მიღებული შემოსავალი);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საკონტაქტო ტელ: 591 88 62 55 სააუქციონო კომისია

17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრაციის (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - თამარ გოგილაშვილი) ნარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- 1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;
კოდი - 300 533 313 (არასასოფლო-სამეურნეო შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)
კოდი - 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის რეგისტრაციის (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - თამარ გოგილაშვილი) ნარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- 1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;
კოდი - 300 533 313 (არასასოფლო-სამეურნეო შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)
კოდი - 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საკონტაქტო ტელ: 591 88 62 55 სააუქციონო კომისია

კიკობისინგულთა კიდევ ერთი წარმატება



2025 წლის 26 იანვარს გაიხსნა სეზონი კიკობისინგში. ალვანში ჩატარდა ლია ტურნირი კიკობისინგში, სადაც მონაწილეობა მიიღო ზემო მარჯანიანის სპორტულმა კლუბმა „ზაქებმა“ და საუკეთესო შედეგი აჩვენა. კლუბის ოთხმა სპორტსმენმა მიიღო 2-2 წონით კატეგორიაში მონაწილეობა. ნიკა ჯაბაშვილი 70კგ წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი, ასევე მიიღო მონაწილეობა 100+ კატეგორიაში. 70კგ ნიკა ჯაბაშვილი შეხვდა 110 კგ სპორტსმენს, სადაც გაიმარჯვა ნოკაუტით და 2 ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ასევე გორა ჩუთლაშვილი მონაწილეობდა 2 წონით კატეგორიაში - 73

წონით კატეგორიაში გახდა ჩემპიონი. მეორე წონით კატეგორიაში (85 კგ წონით კატეგორიაში) მეტოქე სპორტსმენთან დროზე ადრე დაამთავრა შეხვედრა და გახდა 2 ოქროს მედლის მფლობელი. ლუკა მექერიძე წონით კატეგორიაში- 63 კგ ში და 75 კგ წონით კატეგორიაში. ორივე წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მარი ჯაბაშვილი მიიღო 3 წონით კატეგორიაში მონაწილეობა და 54 კგ წონით კატეგორიაში გახდა ჩემპიონი. ასევე მან მიიღო მონაწილეობა 66კგ წონით კატეგორიაში და იქაც აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. სხვა სპორტსმენებმაც აქტიურად იასპარეზეს - საბა ნატროშვილი 39კგ, რატი დაუთაშვილი -37კგ, ზურა ძნელაშვილი -42კგ, ვიტალი ცისკაძე - 47კგ. ტურნირში მონაწილეობდა ახალბედა სპორტსმენი დავით მარტყოფლიშვილი, რომელიც გახდა ტურნირის ჩემპიონი. მთლიანობაში, 9 სპორტსმენი 13 ოქროს მედლით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.

მწვრთნელი გენადი ნატროშვილი

ენერგო-პრო სტიპენდიანტი გამოვლინდა

კოლეჯის „აისი“ დედოფლისწყაროს ფილიალს, ენერგო პრო ჯორჯიას HR მენეჯერი თამარ ხშიადაშვილი სტუდენტობის მიზანს ელექტრობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრა წარმოადგენდა. თამარ ხშიადაშვილი ისაუბრა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე, რომლის მიხედვითაც მოხდება დაინტერესებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა. ამასთან, კოლეჯის ელექტრობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან შეირჩევა ერთი სტუდენტი, რომელიც გახდება ენერგო პრო ჯორჯიას სტიპენდიანტი. ენერგო პრო ჯორჯიას

მენეჯერი გაესაუბრა ელექტრობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამ სტუდენტს, რომლებსაც გააცნო კომპანიაში არსებული ვაკანსიები და სტაჟირების შესაძლებლობები. გაცნობითი შეხვედრის შემდეგ, თითოეულთან ჩატარდა ინდივიდუალური გასაუბრება, რის შედეგადაც გამოვლინდა ენერგო პრო ჯორჯიას სტიპენდიანტი. კომპანიის სტიპენდიანტი გახდა კოლეჯის „აისი“ დედოფლისწყაროს ფილიალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის სტუდენტი, სოფელ ფიროსმანის მკვიდრი ნიკა ბერიძე. სწავლის დასრულების შემდეგ, ნიკა ბერიძე სამთვიან სტაჟირებას გაივლის და ენერგო პრო ჯორჯიაში დასაქმდება. შიკაჟი



ქირაული რეაბილიტაცია ორ საბავშვო ბაღში

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღისა და სოფელ ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს და მისი ბიუჯეტი ორ მილიონ ლარამდეა. ბავშვები სხვადასხვა ბაღებში გადაინაწილეს. სატენდერო პირობების თანახმად, საბავშვო ბაღებს ძირითადი რეაბილიტაცია ჩატარდება. სამუშაოებისთვის 1 830 175 ლარი იყო გათვალისწინებული.

დედოფლისწყაროში 4 საბავშვო ბაღი გვაქვს, №2 ბაღი, რომელიც 120 ალსაზრდელს ემსახურება, ყველაზე დიდია. ამიტომაც მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად დაგეგმეთ ამ შენობის ძირითადი რეაბილიტაცია. ბავშვები გადაინაწილეთ №1, №3-4 და ასევე ხორნაბუჯის საბავშვო ბაღებში. განახლებულ ინფრასტრუქტურას მიიღებენ. ასევე იქნება სოფელ ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღში, სადაც ასევე

მათი ბიუჯეტი დავამტკიცეთ 4 100 000 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ 10 ჯერ მეტი დაფინანსება გამოყოფილი. ეს გულისხმობს დღეში ოთხჯერად კვებას, ყველა პირობის შექმნას, რასაც მოთხოვნები ითვალისწინებს. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ კახეთში ერთ-ერთი მონინავე მუნიციპალიტეტი ვართ ბაღებში არსებული მდგომარეობით. 2013 წლიდან დღემდე ბაღების რეაბილიტაცია,

შესაბამისი პირობები. ჩვენი მიზანია ისეთი გარემო შევქმნათ, რომ ეს არ გახდეს მიგრაციის მაპროვოცირებელი და მოსახლეობა ადგილზე დავამართო.

მარიკა ნიკლაური (ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღის მენეჯერი): „ინვენტარი კულტურის სახლის შენობაში შევინახეთ, ბავშვები კი სოფლის მეორე ბაღში გადავიყვანეთ, თუმცა ჯგუფები არ შეგვიერთებია. მათ გამოგვითავისუფლეს ფართი და უმცროსი და უფროსი ჯგუფები ცალკე გავხსენით. ამ ეტაპისთვის დასრულებულია დემონტაჟის სამუშაოები, მხოლოდ კედლები დატოვეს და საფუძვლიანი რემონტი დაიწყო. კარგი ტემპით მუშაობს კომპანია, უკმაყოფილო არ ვარ და შეშფოთების საფუძველი არ გვაქვს. შესაძლოა წინასწარ განსაზღვრული ვადა დაირღვას, მაგრამ სავარაუდოდ, წლის ბოლომდე უნდა ჩაგვბარდეს ახალი შენობა. ექსპერტები იყვნენ ჩამოსული და საძირკველი შეამოწმეს. როგორც სპეციალისტებმა თქვეს, შენობა მდგრადია და აღდგენას ექვემდებარება. ორივე სართულის რეაბილიტაცია იწყება. იმდენად ამორტიზებული და სახიფათო იყო, მეორე სართული აქამდე მთლიანად დაკეტილი გვექონდა და არ ვიყენებდით. ახლა კი მოგვეცემა შესაძლებლობა გავფართოვოთ და სრული სივრცე გამოვიყენოთ. გარდა იმისა, რომ თანამედროვე სტანდარტების შენობა გვექნება, შევძლებთ, ჯგუფებს ცალკე ჰქონდეთ სასადილო ოთახები, სამრეცხაო. ჩვენთან სულ 2 ჯგუფი მოქმედებს და 20 ბავშვია. რემონტის დასრულების შემდეგ, ვფიქრობ, თითო ჯგუფს თითო სართული დაეთმობა. ასევე ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია დიდი დარბაზი. დარბაზი აქამდეც გვექონდა, მაგრამ ხის იატაკი ძველი და ამორტიზებული იყო. გამწვანებული და საბავშვო ბაღზე მორგებული ეზო გვექნება. საეთაშორისო სტანდარტებთან იქნება თანხვედრაში, მოეწყობა პანდუსი და იქნება სრულად ადაპტირებული.“



სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფელ სამრეკლოში ყველა პირობა გვექონდა ალსაზრდელისთვის შექმნილი, შენობა 1930-იან წლებში იყო აგებული, საკმაოდ მოძველებული იყო და მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად მოვასდინეთ შენობის დანგრევა და მის ნაცვლად ახალი სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო.

ბაღებზე ზრუნვა მუნიციპალიტეტების უშუალო ვალდებულებაა, ამიტომაც ჩვენ პირველად ადგილზე საბავშვო ბაღებს ვაყენებთ. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ თუ 2012 წელს საბავშვო ბაღების დაფინანსება 400 000 ლარზე ნაკლები იყო, წელს

უმრავლეს მათგანს ელექტროენერჯიაც არ მიენდებოდა. ახლა კი საკმაოდ თანამედროვე ინფრასტრუქტურა გვაქვს. სტანდარტები თითქმის ყოველწლიურად იცვლება და თუ რაიმე ახალი მოთხოვნა არის, ამის გათვალისწინებასაც ვახერხებთ. მაქსიმალურად ვცვლებთ, რომ რეგიონში წამყვანი პოზიცია მომავალშიც შევინარჩუნოთ და ვიზრუნოთ მომავალ თაობაზე. მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლები დაშორებულია მუნიციპალური ცენტრისგან, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ ადგილზე შევექმნათ ყველა პირობა, რათა არცერთმა მშობელმა არ იფიქროს სხვა ქალაქში გადასვლაზე იმის გამო, რომ საბავშვო ბაღში, ან სკოლაში არ არის

ილია მარტყოფილი

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დასრულდა

საქართველოში საყოველთაო აღწერა დასრულდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმწერებმა ყველა სოფელსა და ქალაქში ყველა ოჯახის კარი შეაღეს და მოსახლეობის აღწერა განახორციელეს. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, აღწერა ყოველ 10 წელიწადში უნდა ჩატარდეს.

ჩვენი ქვეყნის აღწერების ისტორიაში, აღწერა ელექტრონულად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პირველად ჩატარდა. აღირიცხა მოქალაქეთა სასოფლო სამეურნეო მონაცემებიც. აღწერის წინასწარი შედეგები 2025 წლის ივნისში იქნება ხელმისაწვდომი.

ლუიზა ნასკიდაშვილი („სატესტის“ კოორდინატორი დედოფლისწყაროში): „სულ 47 აღმწერი გვყავდა, ჩვენი ტერიტორია ორ სექტორად იყო დაყოფილი, ქალაქი დედოფლისწყარო და სოფლები. თავის მხრივ ქალაქი კიდევ ორ უბნად დაიყო. ქალაქ დედოფლისწყაროს მასშტაბით სულ 12 აღმწერი მუშაობდა, დანარჩენი სოფლებში იყო განაწილებული. 8 ლოკალური აღმწერი იყო, 2 რეზერვი. ჯგუფები აღიჭურვა ახალი პლანშეტითა და შესაბამისი ატრიბუტიკით. აღმწერები გადამზადდნენ და აღწერისთვის საჭირო ყველა უნარიანი განითარეს. საკმაოდ კარგი გუნდი შეიკრა,

კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით. აქტიური ახალგაზრდები ჩაერთვნენ აღწერის პროცესში. სერიოზული პრობლემები, ან რაიმე ხარვეზი არ გვექონია. ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ძირითადი საქმიანობა დავასრულეთ, თუმცა აქ არ არიან შესული სტუდენტები და მოგვიანებით დაემატება, ასევე უნდა დაემატოს მონაცემები, რომელიც ვადას გაგრძელების შემდეგ თვითრეგისტრაციის დროს შეავსეს ანკეტები. იყო რა თქმა უნდა, დაკეტილი სახლების საკითხიც, ან ისეთი შემთხვევები, როცა აღმწერს ბინაზე არავინ ხვდებოდა, ამის გამო განმეორებითი ვიზიტებიც გვჭირდებოდა. ასევე ჩვენ აღწერეთ მიხდვრად, ფერებში მცხოვრები მოქალაქეებიც, რაც საკმაოდ რთული პროცესი იყო. საბოლოო ჯამში თავი კარგად გავართვით და ყველა საჭირო ინფორმაციის თავმოყრა შევძელით. მასალა მუშავდება და განახლებული მონაცემები რამდენიმე თვეში გამოქვეყნდება.“

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეკომენდაციებით, აუცილებელი იყო, რომ საქართველოში აღწერა 2024 წლის ბოლომდე დასრულებულიყო. ამასვე ითვალისწინებდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების 2024 წლის სა-მოქმედო გეგმაც. **შირაქი**

კონფერენცია საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის



გასულ კვირას თბილისში, სასტუმრო „მერატონ მეტეხი პალასში“ სანდიეგოს უნივერსიტეტის რიგითი მეორე კონფერენცია გაიმართა. მასში დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი და საბავშვო ბაღების მენეჯერები და აღმზრდელები მონაწილეობდნენ. გაზეთი „შირაქი“ კონფერენციის მინაარსით დაინტერესდა და მონაწილეებს ესაუბრა. საბავშვო ბაღების ადმინისტრაციაში ამობენ, რომ ამ უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობენ და ახალი მიდგომების დანერგვას ცდილობენ. ამდენად, მათ მიერ ორგანიზებული შეხვედრები ყოველთვის ნაყოფიერია.

ლია სუსიტაშვილი (სოფელ ოზანის საბავშვო ბაღის მენეჯერი): „ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დანერგვების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით გასული წლის გაზაფხულზე სანდიეგოს უნივერსიტეტისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩაგვიტარდა

ტრენინგები. სწავლების მიზანი იყო ინოვაციის, ინკლუზიურობისა და სარისხის პროექტის გაცნობა ადრეული და სკოლამდელი განათლების გაუმჯობესების მიზნით. მიმდინარე წლის 4 თებერვალს კი, თბილისში, „მერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარდა სანდიეგოს უნივერსიტეტის რიგითი მეორე კონფერენცია. მასში ვმონაწილეობდით დედოფლისწყაროს სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი, საბავშვო ბაღების მენეჯერები და აღმზრდელები. კონფერენციის მიზანი იყო მანამდე გამართული ტრენინგების შეჯამება, თუ რამდენად ეფექტური და მიზანმიმართული იყო საბავშვო ბაღების მუშაობის გაუმჯობესებისთვის. მინდა გითხრათ, რომ მართლაც მრავლისმოცემი იყო ჩვენთვის ეს შეხვედრები. ამიტომ, მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს, ორმა ჯანაშვილს, რომლის ხელშეწყობით ჩვენი საბავშვო ბაღების მენეჯერებისა და აღმზრდელების პროფესიული კუთხით განვითარების შესაძლებლობა გაჩნდა. **შირაქი**



„ყოველი კარგი ნიგნი თვალწინ გვიძლის ახლო სამყაროს“

ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეს და ერთიანდობა საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე სხვაგვარად, შეცვალე მსოფლიო! ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ ნიგნის სხვაგვარად კითხვის სინარჯი და თავიდან შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები. ღონისძიებაში, მონაწილე ბავშვებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვნენ მონვეული სტუმრებიც. მონაწილე ბავშვებმა: ნიკოლოზ ხოსიტაშვილმა, თამარ პოპიაშვილმა, სალომე პოპიაშვილმა, ბარბარე ბოჭორიშვილმა, ნატალი აბულაშვილმა და ანა სამუკაშვილმა ნაიკითხეს ლექსები და ამავდროულად, ისტორიული ექსკურსი მოაწყვეს დავით აღმაშენებლის ცხოვრების შესახებ.

გაუფლდა ყველასთვის საყვარელი და ძვირფასი პოეტის, ასევე გამორჩეული ლექსი „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...“:



5 თებერვალს, ნიგნის კითხვის კვირულს, ტრადიციულად დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკაც შეუერთდა. გარდა ამისა, ღონისძიება წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღესაც მიეძღვნა, რომელსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 7 თებერვალს აღნიშნავს. შესავალი სიტყვით დამსწრე საზოგადოების წინაშე, ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი წარსდგა: „ნიგნის ხმამაღლა კითხვის საერთაშორისო დღე 2010 წლიდან იმართება. ამ დღეს ჩვენი ბიბლიოთეკაც აქტიურად უერთდება. გარდა ამისა, აღნიშნავთ საქართველოს დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. გეტყვით, რომ წელს დავითის ოქროს ხანიდან აღინიშნება 900 წელი. ეს ღირსეული და დასაფასებელი თარიღია საქართველოს ისტორიისთვის. მსურს, მადლობა გადავუხადო, ჩვენი ბიბლიოთეკის პატარა მკითხველებს და მათ მშობლებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საბიბლიოთეკო ცხოვრებაში და დაახლოებულები არიან ნიგნებთან. ცხოვრებაში, არ მგონია, ამაზე დიდი საკმე მშობლებმა თავის შვილს გაუკეთოს. ადამიანში ჩადებული ნიგნის სიყვარული, ყველაზე დიდი ინვესტიციაა“ - აღნიშნა მანანა მაჭარაშვილმა და დიდი მეფის ღვაწლზე, მის განვლილ ცხოვრებასა და ერისთვის განეულ მნიშვნელოვან საქმეებზე ისაუბრა. შესავალი ნაწილის ბოლოს, მან მცირე ამონარიდით წაიკითხა გიორგი ლეონიძის შემოქმედებიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი პრესის,სამღვდელოების, ა.ა)ი.პ.

„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, წყალბა ჰყავით... საქართველოს ყოფილს მშობლებმან ვისურვე დავით... ფეხქვეშ გავცვიოთ საფლავის ღოღი უკრძნის მტკუნებით...“
-ასეთი ცოცხალი რა გაქვს შეფეო მიუტკევი დირს მსახურები ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს? გასწიე იგი „ნიოფსითიოვან დარუზანდამდე“...
თუ, ეს მალაღობა თაჟმდობობაა ოდით და ოდით?
თუ ცოცხალი ხარ, მაშინ, მეფეო, რადა ქნან ცოცხალით სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მხოველთა?
-ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველთა...“

დამსწრე საზოგადოებამ მცირე ამონარიდები ნაიკითხეს ქართველი პოეტების და მწერლების სხვადასხვა ნაწარმოებებიდან. მათ შორის იყო, მურმან ლებანიძის „ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო“:

„ჩემო თვალნათლო, ჩემო სანატრელო, ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო. ყოფილა დავით-მეფე-დამაშენებელი, ყოფილა ოპიზრები-გასამტკუნებელი; ყოფილა მოღრეკელი, ყოფილა ცურტაველი, რასაც მოჭოფილია შოთა რუსთაველი... ჩემო მიმინო და ჩემო ფრთხანთელო, ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო. ყოფილა ნიოფსითი-დარუზანდამდე გაჭენებული და გამოჭენებული; ტროტეგამლილი და გამოჩინებული,

ყოფილა ორ-ზღვას-შუა აღმოცენებული. ფიე, საქართველოს ჰეოლია ვასლები! თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები! ტრევი გვიწადლია, ისე გვიწადლია, რომ გავმსადებულავართ ახალ ბიხანტიად. მაგრამ უცხებედა მატლი არეულა, ბორბალი უკუღმა დატრიალებულა. ჩვეთვის მონილოლია ზირველი სასჯელი. მონილოლს მოჭოფილია თურქი და სხარსელი. ტურთა საქართველო ურწინებს წაუღიით, სხარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუფიით. ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა, იფალით დაკეტილა, გელათი დანგრეულა. ოთხ მუფეს სულ სისწლის ცრემლები უცრემლია, ოთხივეს საბარლო ლექსები უწერია, - რა დროს ლექსიო, მოკუდა ზატონი-სმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი... ამას მოჭოფილია: „ვაჟ, დრონი! ვაჟ, დრონი!“ ჩემო თვალნათლო, ჩემო ფრთხანთელო, ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო!“ ასევე, შეკრებილმა საზოგადოებამ პატრივი მიაგო დედოფლისწყაროელი პოეტის, ლევან ალავერდიაშვილის ხსოვნას და მისი შემოქმედებაც გაიხსენა:

„ლოთი მსატყვარი“
(ფიროსმანს)
ბნელი ხარდაფი, ღვინის ჭკეპი, მხოლოდ ვოღეთა, აღარსად მდგელო, და როცა შედგა იგი მწვერულზე, მაშინ იხილა ის საქართველომ.
თორემ, ვინ იყო, ვინ სწნადა ნიკოს, სარდაფში ობლად დღედა მაჭარი, და მოვანებებს შემორჩა ცოცხლად მირჩანელი „ლოთი“ მსატყვარი. ნიკო მოკვდაო, იქ, კიბის ძირში, საღებავების ცრემლი სდიოდა, რას ქეა მოკვდა! მან მიატოვა ეს სუსუსური კაცობრიობა. გული დამთვრალი და დაფლეთილი

სიბოლისაგან ჩემად კენესოდა, შევლას ითხოვდა თურმე ნიკალა, მაგრამ მისი სხა არვის ესმოდა. ბოლო ფერები გაკრთა ტილოზე, მიქრალ თვალებში მწუსრმა იხალა, ღვინის რუმბები ჩაიკრა გულში, დაემხო ზირქვე და მიიცივალა. არსად არღანი, არსად დღეუკი, არც განბანება ცრემლთა მორვეში, ვიღოდა ქვეყნად კაცი ობოლი და მიემინა სიმარტოვეში... მერმე შეცნად განათლდა ბნელი, ფრთები აშუთ დაბმულ ნიკივებს და კიბისძირში მკვდარი ნიკალა ანგელოებსმა გამოაცილეს... ვინ სიქვა სიკვდილი უკვდავებისა, ნეტა ვინ ვებს ნიკალას საფლავს, ის ესნლა ისევე მთვრალი ღვინით და მარგარიტას წამწამებს სატყვს...“
შეხვედრის დასასრულს, ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები ბავშვებს ბიბლიოთეკაში არსებული ნიგნადი ფონდის შესახებ ესაუბრნენ და პატარა მკითხველებს „ექსკურსიაც“ მოუწყვეს.

ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი და დავითობასთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა შინციპალიტატის სოფლებს - ჯემო მარხანის, არაოპიის, ოხანის, გამარჯვების, ჯემო ქედის, არსილოსკალის და სამთაყაროს ბიბლიოთეკებში.

პ.ს. ბაგაშიძე „შირაპი“ კიდევე ერთხელ უხდის მადლობას დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის სანიტარსო და შამაცნაობი ღონისძიებისთვის. წარმატებასა და წინსვლას უსურვებს მათ პროფესიულ საქმიანობაში.

შუშუნა ყანაშვილი

2 თებერვალს ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო კვირული დაიწყო. „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“ - სწორედ ამ სლოგანის გარშემო ერთიანდებ პლანეტის 100-ზე მეტი ქვეყანა.

ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს, გაიზიარონ ნიგნის კითხვის მნიშვნელობა და თავიდან შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში. ნიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღნიშნეს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებშიც.

კვირულის ფარგლებში მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობები განახორციელეს. მოსწავლეებმა ხმამაღლა ნაიკითხეს სხვადასხვა ნაწარმოებები და ერთმანეთს



ხმამაღლა კითხვის კვირული საჯარო სკოლებშიც აღნიშნეს

გაუზიარეს საკუთარი აზრები. გამოხატეს თავიანთი შეხედულებები ნიგნის, ცოდნის შესახებ. მნიშვნელოვანია, ბავშვებმა უფრო მეტად შეიყვარონ და იკითხონ ნიგნი. იმსჯელონ და გამოთქვან საკუთარი აზრი ნაიკითხვის ირგვლივ.

შემო მარხანის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღნიშნეს. ღონისძიება მოეწყო სკოლის ბიბლიოთეკაში. მოსწავლეებმა ნაიკითხეს გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ცასნავალა“. წარმოადგინეს ნაწარმოების შესაბამისი ილუსტრაციები და თავიანთი შეხედულებები გაუზიარეს ერთმანეთს.

ნორჩებმა მოამზადეს რეკლამა უმცროსი მეგობრებისთვის, თუ რატომ უნდა ნაიკითხონ ეს მოთხრობა.

სამრეკლოს საჯარო სკოლაში 5 თებერვალს ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღნიშნა. როგორც სკოლის პედაგოგები ამბობენ, ამ დღეს „სიტყვაკაზმულობის“ ჯადოსნურ სამყაროში გვამოგზაურებს მოსწავლეებმა და ბოლოს დაასკვნეს, რომ ასეთი დღე წელიწადში ერთხელ კი არა, ბევრჯერ უნდა ტარდებოდეს“.

ნიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღნიშნა არხილოსკოლის სკოლის მოსწავლეებთან ერთად. მომავალ თაობას კიდევ ერთხელ შევასენეთ, რომ „ნიგნები გვეხმარებიან გავხედოთ უკეთესი ადამიანები“-აცხადებენ სკოლის პედაგოგები.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში განსაკუთრებული დღე იყო - მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებმა ერთად გამართეს კითხვის საათი. უფროსკლასელებმა პატარებს ალაღინის ზღაპარი წაუკითხეს, რის შემდეგაც ერთად განიხილეს ნაიკითხული.




ასეთი აქტივობები უდიდეს როლს თამაშობს პატარების განვითარებაში: უფროსკლასელთა მოსმენა უვითარებს სწორი კითხვის უნარ-ჩვევებს, ტექსტის ანალიზი და დისკუსია ეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ერთობლივი მუშაობა აძლიერებს სოციალურ უნარებსა და თანამშრომლობას.

„განსაკუთრებით საამაყოა, რომ მეორეკლასელებმა გახედეს და თავიდან სცადეს ხმამაღლა კითხვა. მართალია, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვართ, მაგრამ ასეთი აქტივობები გვეხმარება თავდაჯერებულობის გაზრდასა და კითხვის უნარების დახვეწაში“ - ამბობს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი რუსუდანი გონაშვილი.

„გუგონი ახლოსაა ყველაზე ხიჩი ქაჩოუნი...“

საბათლო პატარა, მყუდრო საზღვრის-პირა სოფელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. მისი მოსახლეობის დიდი უმეტესობა სომეხი ეროვნებისაა. სოფელში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აშენებული ორენოვანი, ქართულ-სომხური სკოლა. საბათლოს სკოლას ბევრი წარჩინებული კურსდამთავრებული ჰყავს, მაგრამ სომხური სექტორის კურსდამთავრებულები, როგორც წესი, სომხეთში მიემგზავრებიან ხოლო სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენი წერილის გმირები კი იმდენად ახლოს არიან ქართულ სულთან და კულტურასთან, სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ თბილისისკენ აიღეს გეზი და დედაქალაქში მიღებული ცოდნით საქართველოშივე აპირებენ პროფესიულ ზრდას. მოდით, რიგობით მივყავთ.



ვართი დანელიანი

„პირველი მერცხალი“ მაინც ვართი დანელიანი. იგი ბავშვობაში ცვლქი და აქტიური ყოფილა, ცეკვა-სიმღერა უყვარდა, განსაკუთრებულად მოსწონდა ყველაფერი ქართული და ხიბლავდა ქართული ენის ტკიბილობით. უკვე წამოზრდილა ქართული ფილმების ყურება და ქართული ნიგნების კითხვა დაიწყო. ღრუბელივით ისრუტავდა წაკითხულსა თუ მოსმენილს და სიტყვების საკმაო მარაგიც დაიგროვა. ასე თანდათანობით მოხდა მისი ქართულ ენასთან „შესისხლობრცება“. ენასთან ერთად იმდენად შეიყვარა საქართველო, სწავლის გასაგრძელებლად თანაკლასელებით არ უფიქრია ჩვენი ქვეყნის დატოვება, „სხვაგან ვერც გავძლებ, გულთან ახლოს არისო ყველაფერი ქართული“, - გამომიტყდა.

2023 წელს ვართიმ ეროვნული გამოცდებით ჩააბარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. ერთი წელი მოსამზადებელ განყოფილებაზე მარტო ქართულ ენას სწავლობდა. მის კურსზე 40 სტუდენტიდან მხოლოდ თვითონაა სომეხი, თუმცა იმდენად კარგად მეტყველებს ქართულად, არავის სჯერა მისი არაქართველობა. ვართი ყველა გამოცდას მაქსიმალური ქულებით აბარებს, სტიპენდიასაც იღებს, „თურმე ყველაფერი მონდომება ყოფილა“, - დასძენს ლამაზი ღიმილით და არ შეიძლება, რომ არ დაეთანხმო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შესაბამის კლინიკებში აპირებს სტაჟირების გავლას. იცის, რომ ურთულეს პროფესიას შეეჭიდა, რომ ფსიქოლოგი ადამიანის სულის ექიმია, ამიტომ მთელი სერიოზულობით ემზადება საიმისოდ, რომ საკმაო ცოდნა-გამოცდილების დაგროვების შემ-

დეგ საკუთარი კაბინეტი გახსნას. ყველა სიკეთესთან ერთად მადლიერების გრძობაც გააჩნია სათნო გოგონას, რაც, უდავოდ, მისი წარმატების ერთ-ერთი გასაღებია, მადლიერება ხომ ნიჭია, რომლის სანაცვლოდაც ზეციერი, თითქოსდა, „მწვანეს გვირგვინს“ წარმატებისკენ სავალ გზაზე. ვართიც მადლობელია უპირველესად უფლის, შემდეგ კი - ოჯახის, რომლისგანაც დიდ მორალურ მხარდაჭერას გრძნობს. გოგონა თავის ყველა მიღწევას ოჯახს ამცნობს და, როგორც თავად ამბობს, მათი სიხარული დიდი მატყვავია მისთვის შემდგომი ქმედებისთვის.

ვართი დანელიანის მსგავსად საქართველოში გადამწყვიტა სწავლის გაგრძელება ლია ოვსეპიანამაც. მის ოჯახშიც სულ სომხურ ენაზე საუბრობენ, მაგრამ თავად ანდამატივით იზიდავდა ქართული ენა. ლიაც ძალიან შრომისმოყვარე გოგონაა, ბევრს მეცადინეობდა, ქართულ ენას განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას აქცევდა. სკოლის დამთავრებისთანავე მანაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა. ეროვნული გამოცდების ჩაბარება არ გაუჭირდა (მშობლიურ ენაზე ჩააბარა), ახლა მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლობს და საფუძვლიანად ეუფლება ქართულ ენას. როგორც თავად ამბობს, ცამეტი თანაკურსელიდან მხოლოდ ორია აზერბაიჯანელი, დანარჩენები სომეხები არიან. ლიას ქართულ ენასთან ერთად ძალიან უყვარდა მათემატიკა, ამან განაპირობა მისი არჩევანი.

„მოსამზადებელი კურსის დამთავრების შემდეგ მინდა ბიზნეს-ადმინისტრირებაზე გავაკეთო არჩევანი,



ლია ოვსეპიანი

კარგად დავუფლო სპეციალობას და საქართველოში დავიწყო მუშაობა, მე ჩემს მომავალს აქ ვხედავ“, - მთელი სერიოზულობით ამბობს ლია. თავს არ ზოგავს, ცდილობს, რაც შეიძლება კარგად ისწავლოს და მშობლებსაც დაუფასოს მასზე განუთლი უდიდესი ამაგი და სკოლაც ასახელოს.

მინდა წარმატებები ვუსურვო ორ მშვენიერ გოგონას მათი ჩანაფიქრის განხორციელების გზაზე. ვართიმ და ლიამ, თითქოსდა, „ნახსი გატყეს“, სომეხი ეროვნების გოგონებმა გაბედეს და გზა გაკვალეს თბილისის უნივერსიტეტებისკენ და ამიტომ ქების ღირსია მათი ნაბიჯები, რომელსაც მომავალში აუცილებლად გაჰყვებიან საბათლოს სკოლის სხვა მოსწავლეებიც.

მანანა თარაშვილი

პროფესია — ბორტგამცილებელი

ბორტგამცილებლობა დედოფლისწყაროელი მერი ზურაშვილის ძირითადი პროფესია არ არის, თუმცა ამ საქმეზე იმდენად მოხიბლა, გადამწყვიტა ასეთ საინტერესო და იშვიათ საქმესაც დაუფლებოდა და პროფესიული განათლების პარალელურად, საავიაციო სფეროში საჭირო განათლებაც მიიღო. უკვე ერთი წელია ქართულ ავიაკომპანიაში მგზავრებს ემსახურება და საკუთარი არჩევანით კმაყოფილია.


მერი ზურაშვილი: „საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მინდოდა მეშეშავა ბორტგამცილებლობა, თუმცა იყო გარემოებები, რაც მაბრკოლებდა. პირველ რიგში გამბედაობა მაკლდა, თუმცა სურვილი იმდენად დიდი იყო, ყველანაირი შიში მალე დავძლიე და ეს ნაბიჯი გადავდგი. შეუქმელი გავმხდარიყავი დიდი ავიაციის გუნდის წევრი. — მერი, მოდი გვიამბე, რატომ დაინტერესდი ბორტგამცილებლის პროფესიით, რამ იქონია გავლენა? — თავდაპირველად, 16—17 წლის ასაკში მხატვრულ ფილმს ვუყურე, სადაც განსაკუთრებით ბორტგამცილებლის პროფესიამ მიიქცია ჩემი ყურადღება. შემდეგ ეტაპობრივად ინტერნეტში მხვდებოდა ვიდეოები და ფოტოები, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააღვივა ჩემი დაინტერესება. პირველად, რამაც ყველაზე მეტად მომიხიბლა, ამ საქმის საინფორმაციო, მუდმივი დინამიკა, დისციპლინა და საოცარი ადრენალინი. ეს საქმე არ არის მონოტონური, ყველა ფრენა განსხვავებულია.“

ვინაიდან, თბილისში არ ვცხოვრობდი, თავდაპირველად მსგავსი პროფესიის დაუფლება შეუძლებლად მიმაჩნდა, მხოლოდ ოცნებად მქონდა, რომელიც არ ვიცოდი ამიხდებოდა თუ არა. ამიტომ ჩავაბარე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების მისმართულებით, ახლაც სწავლის პროცესში ვარ.

თუმცა, 2024 წლის თებერვალში, კომპანია „საქართველოს ავიახაზები Georgian Airways“-მა გამოაცხადა ვაკანსია, გადავწყვიტე მეცადა ბედი და გასაუბრებაზე გავსულიყავი.

გასაუბრების ეტაპი წარმატებით გავიარე, ავილე სპეციალური ავიასამედიცინო მოწმობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ჯანმრთელი ვარ. შემდგომ დავინყე შესაბამისი კურსის გავლა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, სადაც სპეციალური საგნები გვიტარდებოდა, რომელიც ამ სფეროშია საჭირო. ასევე გვექონდა პრაქტიკები, კურსის გავლის შემდეგ წარმატებით ჩავაბარე 4 თეორიული და 2 პრაქტიკული გამოცდა.

გასული წლის თებერვლის შუა რიცხვიდან დაიწყო სწავლება, გაგრძელდა სამი თვე, ზაფხულში მქონდა 8 გამოსაცდელი ფრენა, რომელმაც ასევე წარმატებით ჩაიარა და შემოდგომიდან,



დამოუკიდებლად დავინყე ფრენა. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად საავიაციო უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი. ახლაც ასეა, ვმუშაობ და თან ლექციებზე დავდივარ.

— ოჯახი და ახლობლები როგორ შეხვდნენ შენს სარისკო ამ არჩევანს?

— ჩემი ოჯახი თავიდანვე სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ერთადერთი, რაც ჩემი მხრიდან არ მოსწონდათ, არ უნდოდათ სწავლას მოვცდენილიყავი. თუმცა, ამ მხრივაც გამიმართლა თანამშრომლებში. განრიგის მხრივ ძალიან დიდი ხელშეწყობა მაქვს, ცდილობენ, სწავლაში ხელი შემიწყოს. მაქსიმალურად გვერდში მედგნენ და ახლაც ძალიან ეამაყებათ ჩემი, მინდა ოჯახის იმედი ბოლომდე გავამართლო, სადაც არ უნდა ვიყო და

რასაც არ უნდა ვაკეთებდე.

— ამ სამსახურამდე თუ გინედა ფრენა და როგორი იყო პირველი სამუშაო დღე?

— სხვათაშორის, ვაკანსიამდე სულ 2-ჯერ მქონდა თვითმფრინავით ნამგზავრი. პირველ დღეს, ძალიან დაბნეული ვიყავი, თანამშრომლები ძალიან ბევრ ისეთ ტერმინს იყენებდნენ, რომელსაც ვერ ვიგებდი (თავისთავად პრაქტიკების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა), ასევე პილოტების საუბარიც გაუგებარი იყო. მფრინავები აღნიშნავდნენ, რომ ფრენის დროს გზა უნდა მოეჭრათ, ვერ გავიგე რას ნიშნავდა და ვერც ვუშეგებდი, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა. ჩემთვის ძალიან

ს ა ი ნ ტ რ ე ს ო იყო უშუალოდ ბორტზე ასვლისას, როგორ ამომწებენ თვითმფრინავის შიდა სივრცეს ეკიპაჟის წევრები ჩასხდომის დან ყებამდე, რათა ყველაფერი წესრიგში იყოს. ზოგადად, მე გზავრებთან კომუნიკაცია არ გამიჭირდა, ვინაიდან სხვადასხვა სფეროში სამუშაო

გამოცდილება მქონდა. რაც შეეხება ემოციებს, ყველაზე შთამბეჭდავი პირამაც ალფრედოპანაპოლი დამტოვა, პილოტების კაპიტან იყო. დაშვების მომენტში, დაახლოებით 20 წუთი მათთან ბავაბარე. საოცარი ბოძნობა დამაუფლა. მასწავლეს, ცოტა ძარი იყო, მაგრამ პორტს იმდენად პროფესიონალი ხომალდის მითაური მართავდა, სირთულე წარმატებით დაძალია, თვითმფრინავი მსუშუქად დასვა. საოცარი გრძობით და ემოციებით დატვირთულმა დავამთავრე პირველი სამუშაო დღე.

— რომელ ქვეყანაში გქონდა პირველი ფრენა?

— პირველი ფრენა ლიბანში, ბეირუთში იყო, თავიდან ყველაფერი შევამოწმე, ამინდი, ფრენის დრო, რა ადგილები უნდა გადაგვეფრინა, თითქოს


„მომზადებული“ წავედი, თუმცა იქ ჩასვლის შემდეგ ადგილობრივი შემომნების ჯგუფი უნდა ამოსულიყო. მაშინ არ ვიცოდი, რომ დამატებით მათაც უნდა შეემონებინათ თვითმფრინავის უსაფრთხოება და სალონში არსებული მდგომარეობა, რაიმე ცდომილება არ ყოფილიყო. ძალიან დაკვირვებით ვუყურებდი რას ამომწებდა, რადგან, თურმე ისეც ხდება, რომ შეიძლება თავადვე დაგიდოს ისეთი რამ, რაზეც წარმოდგენაც არ გექნება. ამით ისინი აკვირდებიან, რამდენად კარგად და საფუძვლიანად მოწმდება სალონი მგზავრთა გასვლის შემდეგ, იმხელა პასუხისმგებლობაა, ყველაფერზე თვალეები მქონდა გაფართოებული, სმენა მიყურადებული, რომ სადმე რამე არ გამომჩენოდა. ამის გამო თავისთავად, შეფასებაც კარგი დავიმსახურე.

— როგორც ამბობენ, ცამეტი არის ორმოები და ე.წ. ტურბულენტური ზონა ბევრს აშინებს, სირთულეები ახლავს უამინდობაში ფრენასაც...

— დიახ, ტურბულენტურ ზონებში ფრენა და ზოგადად ცუდი ამინდი ჩვენი სამუშაოს ნაწილია, მაგრამ ყოველთვის ვსწავლობთ, როგორ მოვიქცეთ ასეთ სიტუაციებში. ჩვენ გვაქვს სპეციალური ტრენინგები, რომელიც არა მხოლოდ მგზავრების უსაფრთხოებაზე ზრუნვას, არამედ საკუთარი ემოციების მართვასაც მოიცავს. მნიშვნელოვანია, ასეთ დროს მშვიდად დავრჩეთ, რადგან ჩვენი რეაქცია პირდაპირ აისახება მგზავრების სიმშვიდეზე. ავიაკომპანიაში ყოველთვის უმაღლეს უსაფრთხოების სტანდარტებს იცავენ, ამიტომ ტურბულენტური ზონები სახიფათო არ არის — ეს უფრო ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ავიაციისთვის ნორმალურია. ზოგადად, თვითმფრინავი ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტად მიიჩნევა.

/დასასრული ბოლო გვერდზე/

შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს წიგნი, ყველა სხვადასხვაგვარად პასუხობს. ზოგისთვის ეს მეგობრის შექმნაა, ზოგისთვის სულიერი საზრდო, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღო, ზოგიც მას ცხოვრებაში ან დროში ათასჯერ მოგზაურობის საშუალებად მიიჩნევს.



7 თებერვალს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და ამავე ორგანიზაციის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელის, თამარ აბულაძის ინიციატივით, ხმამაღლა კითხვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. გარდა ამისა, ღონისძიება დიდი ქართული მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესაც მიეძღვნა.

შეხვედრა დისკუსიით გაიხსნა, სადაც დამსწრე საზოგადოებამ წიგნისა და ტექნოლოგიების „მარადიულ ბრძოლაზე“ ისაუბრა. აღინიშნა, რომ იმ მოცემულობაში, როდესაც ცხოვრების რიტმმა, წიგნის ტექნოლოგიებით ჩანაცვლებამ, თავისი ნეგატიური გავლენა მოახდინა არამარტო ჩვენს ურთიერთობებზე, არამედ ჯანმრთელობაზეც, წიგნის ხმამაღლა კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა

„იკითხეთ, იკითხეთ უსასრულოდ...“

განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს. ამ დღის მიზანს სწორედ წიგნთან, რაც შეიძლება მეტი ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვების დაახლოება და წიგნის პოპულარიზაცია წარმოადგენს.

„წიგნის კითხვის პოპულარიზაცია მსოფლიოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, აჩქარებული ტემპისა და ახალი მძლავრი ტექნოლოგიების საუკუნეში. ამის ფონზე, წიგნი თერაპიის საშუალებაა. წიგნთან დაშორებამ ძალიან ცუდი შედეგი გამოიწვია საზოგადოებისთვის. წიგნის კვირეულიც სწორედ ამ მიზნით ტარდება, რათა ბავშვები არ გადაეჭვივებინათ წიგნის კითხვას. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ თუ გვინდა ნაკითხული მარტივად დაგვახსოვრდეს, წიგნს უნდა ვეჩუროწოდოთ. ჩუროწოდით ნათქვამ სიტყვას, ტვირის გარკვეული უბანი საიდუმლოდ აღიქვამს და განსაკუთრებით იმასოვრებს. წიგნი



უსაფრთხო, მრავლის მომცემი და მომცველია. ის არა მარტო ჩვენი მეგობარია, არამედ ერთგული თანამგზავიცაა. ის აზროვნებისთვის მეტ საზრდოს გვაძლევს. ამიტომ, იკითხეთ, იკითხეთ უსასრულოდ“ - აღნიშნა თამარ აბულაძემ.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მეორე საჯარო, საპატრიარქოს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლემ ნარმოადგინეს მცირე პრეზენტაცია დავით აღმაშენებელზე, ისაუბრეს მის ბიოგრაფიაზე, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საინტერესო ფაქტები დიდი მეფისა და მის მიერ განხორციელებული საქმეების შესახებ. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოორდინატორმა თამარ ლაბიაშვილმა ბავშვებს სწორედ დავით აღმაშენებლის მიმართვა წაუკითხა, რომლითაც მან დიდგორის ბრძოლის წინ თავის ჯარისკაცებს მიმართა: „მეომარო ქრისტესნაო! თუ ლეთის სჯულით დასაცავად თავდადებით ვიბრძობებით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელეების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მიეცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიღუპებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვიწოდოთ, ამ ხეობის შესავალი, რომელიც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შეგვრათ და



მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუბრუნებლად შეუტყობით!“

ხმამაღლა კითხვის სურვილი გამოთქვეს სკოლის მოსწავლეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტებმა და მონაწილეთა სტუმრებმა. შეხვედრას ესწრებოდა დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი დოქტორ ხუნაშვილი, რომელმაც წიგნის კითხვის აუცილებლობაზე, ბავშვების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამოკიდებულებასა და ინტერნეტ სივრცის სწორად გამოყენების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ავტორებს შემეცნებითი შეხვედრის ჩატარებისთვის.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოორდინატორს თამარ ლაბიაშვილსა და ამავე ორგანიზაციის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელს, თამარ აბულაძეს საინტერესო ღონისძიების ჩატარებისთვის. ნარმატებებს უსურვებს მათ მომავალ საქმიანობაში.

✍️ შუშუნა ყანაშვილი

როგორ მივხვართ ბავშვს ისარგობა და მართლმადიდებლობაში

როგორ მივხვართ ბავშვს ისარგობა და მართლმადიდებლობაში

ბავშვის განვითარების პროცესში ჩართულ ძალებს ნახალისება სჭირდება. ყველა მშობლის სურვილია, ბავშვი საკუთარ ძალებში დარწმუნებული გაიხარდოს. მაგრამ ყველამ არ იცის, თუ როგორ და რით უნდა დაეხმაროს ამაში ბავშვს. ეს წერილი სწორედ მშობლებისათვის არის განკუთვნილი.

როგორ დაეხმაროთ ბავშვს?

კითხვაზე ერთი პასუხი არ არსებობს, მაგრამ უდავოა ერთი ძირითადი ხაზი გადაჭარბებული ჭკუის სწავლება დამთრგუნველია.

როდესაც ბავშვს ვუჩვენებთ საკუთარ მაგალითს, როგორ გააკეთოს რაიმე, ამით მას ვუბნებთ, მე შენგან მოველი, რომ ამას ზუსტად ჩემსავით გააკეთებ, ზენოლას ჩვენი მხრიდან ემატება ბავშვის დაძაბულობა მიზნის მიღწევის გზაზე და არ არის გამორიცხული, რომ საპასუხოდ უარყოფითი შედეგი მივიღოთ. ფსიქოლოგები ურჩევენ მშობლებს, მოთმინებით დააკვირდნენ, როგორ მიდის ბავშვი მიზნისაკენ, იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი უძლურია მარტო გაუმკლავდეს მას ან საშველად განიშნათ, ურჩიეთ როგორ მოიქცეს, როგორ მოიქცეოდით თქვენ მის ადგილზე? და შემდეგ მიეცით ბავშვს საშუალება, მიზანს დამოუკიდებლად მიაღწიოს.

როგორ მივხვართ ბავშვს ისარგობა და მართლმადიდებლობაში

ბავშვს სურს, ისწავლოს ჭამა, თავად აირჩიოს საჭმელი და უფრო თქვას მასზე, როდესაც აღარ შია. მშობელს კი სურს, დაუგეგმოს ბავშვს ოპტიმალური დიეტა, ასწავლოს მაგიდასთან მოქცევის წესები და ის, რომ ბავშვმა ჭამოს, რასაც მისცემენ.

როგორც ვხედავთ, მხარეები განსხვავებულ მიზნებს ისახავენ ჭამასთან დაკავშირებით. ბავშვის ქცევა ასაკობრივ ეტაპების მიხედვით შემდეგნაირია:

- * 4 თვე - ბავშვი გართულებული ყურებით და მოსმენით, ჭამისთვის მას დრო არა აქვს.
- * 8 თვე - ბავშვი ატარებს ექსპერიმენტებს საჭმელზე - აგდებს მას ძირს, იხელს თამაში, ისვამს სახეზე, ცდილობს თვითონ ჭამოს.
- * 12 თვე - ცდილობს არჩევანი გააკეთოს: „მე შევჭამ ამას, ამას კი - არა“.
- * 2-3 წელი - ყოველი ზენოლა ინვესტ პროტესტს - „მე თვითონ მივხედავ ჩემს თავს“.
- * 4 წელი - იწყებს გარემომცოვების იმიტირებას, ბაძავს მათ ჭამაში.
- * 5 წელი - ცდილობს, მშობლების მანერები გაიმეოროს და ამით უფროსების მონონება მოიპოვოს.
- * 8-10 წელი - უპირატესობას ანიჭებს უხარისხო, უაზრო საჭმელებს, ამბობს „ჩემი ამხანაგები ამას ჭამენ“.

ბავშვი რამდენიმე ეტაპს გადის, სანამ ამ „ცივილიზებულ“ ჭამას ისწავლის. ამ ეტაპების გავლის გზაზე ბავშვზე ზენოლა მისი დაყოლიების მიზნით უშედეგოა, თუ გვსურს, ბავშვს რაიმე ვასწავლოთ ამ



სფეროში, საჭიროა ეს ძალიან ფრთხილად გავაკეთოთ, ისე, რომ არ დავარღვიოთ ამ ეტაპების მსვლელობის კანონზომიერება. თუმცა, ჩვენი ყოველი მცდელობა სიმტკიცეს არ უნდა იყოს მოკლებული.

როგორ ვასწავლოთ ბავშვს მართლმადიდებლობაში

დაძინებას ბავშვი პატარაობიდანვე უნდა სწავლობდეს, თუ მშობელი მას ხელზე აძინებს, მაშინ ეს ბავშვისთვის დაძინების აუცილებელი ფორმა ხდება და ჩვენი ყოველი მცდელობა, მოვუშალოთ მას ეს ჩვევა, უშედეგოდ დამთავრდება. ბავშვი ტირილით მაინც მიაღწევს თავისას - არც ეს ასწავლის მას დამოუკიდებლად დაძინებას. ამ მხრივ გთავაზობთ შემდეგს:

- 1) პირველი - დადგენით, რა გსურთ თქვენ. თუ თქვენ არ გსურთ, რომ ძილის დროს ბავშვი თქვენგან მოცილებული იყოს, მაშინ ეს არც ბავშვს ენდობება.
- 2) მეორე - შეუქმენით ბავშვს დაძინების მშვიდი და წინასწარ შეთანხმებული ფორმა - ბავშვმა უნდა იცოდეს რა ფორმით იძინებს იგი.
- 3) მესამე - ლოგინში ძილის მოსვლამდე დაანწინეთ იმისთვის, რომ თვითონ გამოიშუშოს დაძინების საკუთარი მეთოდი. თუ ღამე გაიღვიძა, მიეცით საშუალება, ძილი შეიბრუნოს. თუ იტირა, მოუფეციეთ და მშვიდად გამოეუბნარაკეთ. გირჩევთ ლოგინიდან არ ამოიყვანოთ. ჭამის სწავლასთან ერთად ბავშვი დაძინებასაც სწავლობს და ასევე გადის გარკვეულ ეტაპებს. ამ გზაზე მას კანონზომიერი და გასაგები სირთულეები ხვდება. სწორედ ამ დროს ესაჭიროება მას მშობლის დახმარება.
- 4 თვე - ბავშვი სწავლობს, როგორ დაძინოს.
- 8 თვე - ღამე იღვიძებს და უჭირს დაძინება.
- 2 წელი - ამ ასაკისათვის ჩვეულმა ნეგატივიზმმა და ჟინიანობამ შეიძლება ძილის ჩვევებსაც შეუშალოს ხელი.
- 3-5 წელი - აქვს ღამის შიშები, რაც მიუთითებს ბავშვში ახალი გმობობის-აგრესიის გაჩენაზე.
- 6-7 წელი ბავშვი მიდის სკოლაში და რეჟიმი უბრუნებს მას ძილის ჩვევებს.

ძალიან შევლის. **მივხვართ თუ არა ბავშვს სიარულის სწავლაში?**

მშობლის სწავლა, მიხმაროს ბავშვს პირველი ნაბიჯების გადადგმაში. მაგალითად, შეგიძლიათ დაანყთ ხელები ჭოჭინის უკან და აგრძობინოთ ბავშვს, რომ ის უსაფრთხოდ და და შეუძლია წინაგ წავიდეს და უკანაც. თუ ბავშვს სურს, შეგიძლიათ, მისი ხელი დაიჭიროთ. ბავშვს სჭირდება პრაქტიკა. არსებული წინააღობის გამო ბავშვი სიარულის სწავლას თავს არ დაანებებს, რადგან ძალიან დიდია მოტივაციის ძალა. მიხმარება და ნახალისება შევლის ამ საქმეს, ზენოლა და დაძაბულობა (მაგალითად, რომ ცხრა თვისამ ისწავლოს სიარული) კი-არა.

როგორ დაეხმაროთ ბავშვს სიარულის სწავლაში

დაძინების შორის ურთიერთობის სწავლა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მეტოქეობა მედლის ერთი მხარეა, ზრუნვა დაზე ან ძმაზე კი - მეორე. მშობელს ყოვეთვის უჭირს არ ჩაერიოს შვილების ურთიერთობაში. ბავშვებსაც სურთ, რომ მშობლები ურთოდნენ, რადგან მშობლის ყურდღება ზრდის მოვლენის მნიშვნელობას. შეცდომაა, რომ მშობელმა გაარჩიოს კინკლაობა, რადგან იგი, როგორც წესი, ვერ ახერხებს სწორად განსაჯოს ვინ არის დამნაშავე. მშობლის ჩარევა აძლიერებს მეტოქეობას და სრულიად არ უშუშავებს ერთმანეთის ურთიერთპატივისცემის გრძობას. თქვენი ყოველი მცდელობა ზენოლას ჰგავს, თუ არ ჩავთვით ბავშვების უსაფრთხოების მიზნით მათ ჩხუბში ჩართვას.

მიეცით ბავშვებს სივრცე და დრო და ისინი თვითონ ისწავლიან ურთიერთობებს. ეს მათი საქმეა და არა მშობლების.

ნაპირით თუ არა მოვალისა ბავშვს ნაპირაზე? ისევე, როგორც დაძინების შორის ურთიერთობაში, ბავშვი თავისი ტოლების შესახებ ცოდნას ძირითადად ჩხუბისა და ზრუნვის გზით იძენს, მაგრამ თუ ერთი გაზრდებით ჩავთვას მეორეს, საჭიროა მათი განცალკავება. შემდეგ ყოველ ბავშვს უნდა მოუფუძნოთ თავისი მსგავსი. წყნარს, წყნარი და მჩაგვრელს მჩაგვრელი. ორი მოძალადე ისწავლის, როგორია, როცა ვინმე განყენიანებს და გულს გატკენს, წყნარი ბავშვები კი ისწავლიან, როგორ გაუმკლავდნენ მოძალადე ერთობლივი ძალებით, ეს სტრატეგია შევლის საქმეს, მაგრამ, ნურასოდეს შესთავაზებთ თქვენს ბავშვს ზედმეტად ღია და დაცვა თქვენი მხრიდან. ჰიპერპროტექცია დაუსუსტებს ბავშვს საკუთარ

ძალებში დარწმუნებულობის განცდას.

ბავშვი ახალ სიტუაციაში ვაჟა. დაეხმაროთ თუ არა მას?

რა თქმა უნდა, მაგრამ შეეცადეთ, ეს ისე გააკეთოთ, რომ ბავშვი მთლად ძუძუმწოვრად არ აქციოთ.

1. უთხარით მას ყველაფერი, რაც კი იცით ამ ახალი სიტუაციის შესახებ, ვთქვათ, სკოლაში მიდის - და კარგი იქნება, თუ გააცნობთ მას ბავშვს, რომელიც მასთან ერთად შედის ამ ახალ სიტუაციაში.
2. დაარწმუნეთ ბავშვი იმაში, რომ მის ასაკში თქვენც ასევე განიცდით ყველაფერი ამას.
3. დაპირდით, რომ მასთან იქნებით მანამ, სანამ მას ეს ჭირდება.
4. ასწავლეთ როგორ გაიადვილოს შფოთვა, მაგალითად, ვიზით ნაილოს საყვარელი თოჯინა. ასწავლეთ ასევე როგორ გაიცნოს ბავშვები.
5. აუცილებლად უთხარით, როდის მიაკითხავთ.
6. მასთან ერთად გაიხარეთ მისი წარმატებით, რომელსაც ბავშვმა ახალ სიტუაციის დაძლევისას მიაღწია.

როგორ დაეხმაროთ ბავშვს სიარულის სწავლაში

მშობლისათვის განსაკუთრებით ძნელია, შეეგუოს მოზარდის სიფრთხეს. მოზარდისთვის კი ძნელია, თანატოლების ზენოლის პირობებში იპოვოს თავისი გზა, ეს გარკვეულიად „ექსპერიმენტს“ მოითხოვს.

ამგვარი ექსპერიმენტების საფუძველზე ამ სფეროში წარმატებულ ოჯახებს შემდეგი გზები აქვთ ნაპოვნი.

1. მშობლებმა და შვილებს შორის ურთიერთობათა სისტემა მოზარდობის ასაკის დადგომამდე გარკვეული ხნით ადრეა ჩამოყალიბებული.
2. პერიოდულ ოჯახურ შეკრებებზე ყველა უზიარებს დანარჩენებს საკუთარ ღირებულებებსა და აზრებს - რა მოსწონს მას და რა არა.
3. ყოველ მშობელს დაგეგმილი აქვს ბავშვებთან ერთად სახლიდან გასასეირნებლად გასვლა. აქ მთავარი მიზანი ბავშვთან ურთიერთობაა.
4. მშობლები ესაუბრებიან ბავშვს ისეთ ქცევებზე როგორცაა სიგარეტის წევა, სმა, სექსი, სიყვარული და ყოველთვის უსმენენ შვილის აზრს.
5. თავიანთი ოჯახური ღირებულებების მიმართ მშობლები მტკიცე და შეუწყველნი არიან.
6. მშობლებს სჯერათ, რომ მათი ბავშვი საბოლოოდ დაუბრუნდება იმ ღირებულებებს, რომლებსაც იგი აღიზარდა.
7. გვექონდეს რწმენა, ეს არის მთავარი ღირებულებები მშობლებისგან მოდის. მოზარდმა შეიძლება დღეს, როდესაც მას გარდატეხის რთული პერიოდი აქვს, არ გააკეთოს ის, რასაც თქვენ ეუბნებით, მაგრამ მოზარდული შვილი აუცილებლად აკეთებს იმას, რასაც თქვენ ასწავლით.

გ ა ს ი კ ბ ი ო რ ა ლ ი
ფსიქოლოგი

ალექსანდრე და ნიკო ყიასაშვილები გაპოზიანილი აქაიანები

ალექსანდრე ყიასაშვილი დაიბადა 1897 წელს სოფელ ზემო მაჩხაანში. ბავშვობა მშობლიურ ქიზიყში გაატარა, დანებებით განათლებაც აქვე მიიღო აი, როგორ იხსენებდა ალექსანდრე ყიასაშვილი ბავშვობას.

„ზემო მაჩხაანში“ პირველი სკოლა რომ გაიხსნა, ერთ დაქირავებულ ოთახში იყო შეკედლებული და ბავშვებს მღვდელი და სოფლის პირველი მასწავლებელი - ელენე ბოსტაშვილი ასწავლიდა. სწავლის მსურველი ბევრი იყო, მოსწავლეთა კონტიგენტი კი - მცირე, ამიტომ პირველ კლასში მიღება კენჭისყრით წარმოებდა. მაგიდაზე იდგა ყუთი, რომელშიც პატარა, დახვეული ქაღალდები ეყარა. ერთზე ეწერა „მივილოთ“, მეორეზე - „არ მივილოთ“ ზოგს ბედი გაუღიმებდა, ბევრი კი სკოლის გარეთ რჩებოდა. პატარა ალექსანდრე ილბლიანთა რიგებში აღმოჩნდა ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში განაგრძო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1917) იგი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და სოფლის სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად, დაიწყო მუშაობა. ამავე დროს დგამდა წარმოადგენს ზემო მაჩხაანელ ახალგაზრდებთან ერთად.

ამ წარმოდგენებს, როგორც მათი მომხრენი და მოწინააღმდეგეები, სოფლის ცხოვრებაში საკმაოდ სერიოზული ასდგელი ეკავა და ღრმა კვლიც დაუტოვებია ალექსანდრე ყიასაშვილის თანასოფელელთა გულსა და გონებაში.

1921 წელს ალექსანდრე ყიასაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სულ მალე ყმანვილურმა გატაცებამ, თეატრის დიდმა სიყვარულმა იგი პროლეტკულტის დრამატულ სტუდიაში მიიყვანა.

სამსახიობო ხელოვნების სახელმძღვანელო რეჟისორები: ალექსანდრე ნუნუნავა, მიხეილ ჭიაურელი, კოტე ანდრონიკაშვილი ასწავლიდნენ. ეს იყო ჩინებული პროფესიული სკოლა. სტუდიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მუშათა თეატრში, შემდეგ კი ქუთაისის და თელავის თეატრებში.

როგორც ლადო მესხიშვილი აღნიშნავდა, „ალექსანდრე ყიასაშვილს ჰქონდა მშვენიერი გარეგნობა, სასიამოვნო ხმა, დარბაისული მეტყველება და სცენური მომხიბვლელობა - ყველაფერი ის, რაც დაუღალავ შრომასთან შერწყმული კარგ მომავალს უქადდა ახალგაზრდას.

1930წ. ალექსანდრე ყიასაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრის წამყვანი მსახიობია. ერთნაირად საინტერესო იყო მის მიერ გაცოცხლებული ყველა პერსონაჟი - ბოროტი მეფე („კომბლე“), გელა („პატარა კახი“), ღვთისმშობელი („არსენა მარაბდელი“), ჰერცოგი („რომეო და ჯულიეტა“). როლის დაწესება არ სჩვეოდა, არა იმიტომ, რომ მუდამ მისთვის სასურველ როლს სთავაზობდნენ, არამედ იმი-


ტომ, რომ მიაჩნდა ყველენაირი ადამიანი საინტერესო, რადგან თავისებური და განუმეორებელია. პარალელურად მუშაობდა რადიოკომიტეტში საბავშვო გადაცემათა რეჟისორად.

ოჯახურმა პირობებმა მსახიობს შემოქმედების ზენიტში დაატოვებინა სცენა და დააბრუნა მშობლიურ სოფელ ზემო მაჩხაანში-ისევე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და კვლავ, როგორც ახალგაზრდულ წლებში-დრამატული წრის მსახიობად და რეჟისორად.

1956 წლის 15 სექტემბერს ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის გახსნის საზეიმო ღონისძიების სულის ჩამდგმელი და კონფერანსიეც ალ. ყიასაშვილი იყო. გარდაიცვალა 1983 წელს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.



ალექსანდრე



ნიკო

ნიკო ყიასაშვილი

საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურული პროცესების სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, შექსპირის შემსწავლელი კომისიის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, შექსპირის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრი, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა ბიუროს თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ასეთია ნიკო ყიასაშვილის მოღვაწეობის ამსახველი ტიტულები.

ნიკო ყიასაშვილი დაიბადა 1926 წელს ნითელწყაროში, სოფ. მაჩხაანში. დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, შემდეგ კი სწავლა თბილისში გააგრძელა.

ნიკო ყიასაშვილის მშობლები მსახიობები იყვნენ, თვითონ კი რეჟისორობაზე ოცნებობდა. საშუალო ადამიანი ხელოვნებაში ხელმოცარულიაო, - ეუბნებოდა მამა და მისგან ოსტატობას მოითხოვდა, ისეთ ოსტატობას, ქართული თეატრის ისტორიაში საკუთარ ხელწერას რომ მოიტანდა. მერე ისევე უნივერსიტეტი აირჩია. ამ დროისათვის საკმაოდ კარგად ფლობდა ინგლისურ ენას და გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით.

ნიკო ყიასაშვილი იყო ქართული შექსპირიანას ივანე მაჩაბლისეული თარგმანების გამოცემის მთავარი რედაქტორი, წინასიტყვაობისა და კომენტარების ავტორი. უნივერსიტეტში შექსპირის კაბინეტი რომ არსებობს, ესეც ყიასაშვილის დამსახურებაა. იგი მეგობრობდა გიორგი ლეონიძესთან, იოსებ ნონემვილთან, ირაკლი აბაშიძესთან. როგორც

მისი ქალიშვილი მაია იხსენებს, ბათუმში გამართულ ლიტერატურულ პაექრობაში ნიკოს გოგლა ლეონიძის უფრო მეტი ლექსი ახსოვდა ზეპირად, ვიდრე თავად ავტორს.

რამდენიმე დიდ საქმეს იყო შეჭიდებული და ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა. მოკლე ხანში „ქართული შექსპირიანა“ დააღაგა. განზრახული ჰქონდა შექსპირის ხუთტომეულის გამოცემა.

მოიწვია მხატვრები და მთარგმნელები და სამი ტომი გამოსცა ჟურნალ „არილი-ში“. მანვე შეადგინა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც სავსებით პასუხობს თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ძირითად მოთხოვნებს და შეიცავს ინფორმაციას იმ ხარისხს, რომელიც თანამედროვე ინგლისურ და ამერიკულ ლექსიკონებს გააჩნია. მანვე თარგმნა



ნობელიანტი დრამატურგის ჰაროლდ პინტერის პიესა „დარაჯი“.

3 წელი ლონდონში კულტურის ატაშე იყო. 1960-63 წლებში, ატაშეობის პერიოდში უწევდა ლექციების წაკითხვა სხვადასხვა სტრუქტურაში, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს, მაგრამ ყველგან იმით იწყებდა, რომ ქართული იყო და მის ერს ჰქონდა დამწერლობა, ენა. ის განმსჭვალული იყო იმ სურვილით, რომ ყველგან ქართველად წარმოჩენილიყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ყიასაშვილის მიერ ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ თარგმნა. ამ რომანის რამდენიმე თავის

თარგმანი პირველად 1983 წელს გამოვიდა და მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა. თარგმანის ყოველი აბზაცი აუდიტორიაში მიჰქონდა და სტუდენტებთან ერთად განიხილავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სტუდენტები მის ფავორიტ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, განსხვავებით უცხოელებისგან, რომელთაც თავის თანამემამულე მწერლების ნაწარმოებები არ ჰქონდათ წაკითხული. ამის ნათელი დადასტურებაა ნიკოს მიერ ირლანდიის სამეფო აკადემიაში საჩუქრად გაგზავნილი „ულისეს“ თარგმანის პირველი ნიგნი. ნიგნთან ერთად დაწერა წერილი, რომელშიც გამოთქვამდა წუხილს, რომ მართალია ირლანდიაში ქართულ ენაზე ნაწარმოებს არავინ წაკითხავს, მაგრამ რამდენადაც სულ რაღაც 4-5 ენაზე ნათარგმნი, ეს ეგზემპლარი შეავსებს „ულისეს“ თარგმანების თაროსო. აკადემიის პრეზიდენტი მადლობის წერილში იტყობინებოდა: „თქვენი წერილის იმ ნაწილში, სადაც გულისტკივილს გამოსთქვამთ, რომ ვერ წაკითხავენ ჯეიმზ ჯოისის ქართულ ენაზე, მინდა დაგარწმუნოთ, ჩვენში მას ინგლისურადაც ვერ კითხულობენ.“

„ულისეს“ ორიგინალში წაკითხვას ვერ ვბედავ, ამისთვის ინგლისური ენის განსაკუთრებული ცოდნაა საჭირო“ - წერდა თომას მანი. ნიკო ყიასაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ საშუალება გვაქვს, ვიცოდეთ (ვიცნობდეთ მაინც) ჯეიმზ ჯოისის - მოდერნისტული ლიტერატურის კლასიკოსს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ნიკო ასე ესალმებოდა სტუდენტებს - „გაუმარ-ჯოის“.

ნიკო ყიასაშვილის უკანასკნელი ნიგნია „სკილასა და ქარიბდას შორის, ანუ რა ბრძანეთ, ბატონო ჯოის“. სამას-გვერდიანი კრებული მოიცავს ავტორის მოგონებებს და კრიტიკულ წერილებს. ასაკში შესულმა კათედრაც სხვას გადაულოცა და სიცოცხლის უკანასკნელ აღმართს შეუდგა. მთელი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელ მიზანს - „ულისეს“ თარგმანის გასრულებას. ამიტომ გახდა მისთვის ყოველი წუთი კიდევ უფრო ძვირფასი, ვიდრე ოდესმე. გრძობდა, დრო ცოტა რჩებოდა, გასაკუთებული - ბევრი. თუმცა, ავადმყოფობის გამო ვერ მოასწრო დასრულებას. თარგმანი შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მისმა ქალიშვილმა მაია ყიასაშვილმა. მაიამ „ულისეს“ 15 წელი იმუშავა. შესაბამისად, სრული ქართული თარგმანისთვის ორი მთარგმნელის, მამა-შვილის 40 წლიანი შრომა დაისარჯა, აქედან 25 წელი ნიკოს თავდადებული შრომა იყო.

ნიკო ყიასაშვილი გარდაიცვალა 1996 წელს, დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

დალი ბაღაშვილი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ერთი კადრი წარსულიდან

1970 წელი, ქალაქ ნითელწყაროს მთავარი პროსპექტი, სკოლის წინ არსებული გზა. ფოტოს ავტორი: ნინა სვირიდოვა და დიმიტრი ვოზდეჩიენსკი (უფროსი) საქართველო, კახეთის რეგიონი, დაბა ნითელ-წყარო (დედოფლისწყარო). ფოტო დაცულია რუსულ არქივებში.



ეპოქის ადაიანები დასახელდნენ

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამადარის“ მიერ დედოფლისწყაროს და თბილისის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად.

2025 წლის ეპოქის ადამიანები დასახელდნენ:

- მანანა ახმეტელი - მუსიკოსი.
- ლეო ანთაძე - მსახიობი.
- ნანი ბრეგვაძე - მომღერალი.
- ნონა გაფრინდაშვილი - მოჭადრაკე.
- ვალერი გენგიური - ფოტოკორესპონდენტი.
- ნუნუ დულაშვილი - კომპოზიტორი
- იმედა კახიანი - მსახიობი
- მარიკა კვალიაშვილი - კომპოზიტორი.
- მერაბ კოკოჩაშვილი - რეჟისორი.
- ლერი კვაჭანტირაძე - ჟურნალისტი.
- ჟანრი ლოლაშვილი - მსახიობი.
- ლიანა მაჩიტაძე - ისტორიკოსი.
- ვაჟა მამაიაშვილი - მეღვინე ტექნოლოგი.
- რეზო მიშველაძე - მწერალი.
- გივი სიხარულიძე - მწერალი.
- რობერტ სტურუა - რეჟისორი.
- ნანა ფაჩუაშვილი - მსახიობი.
- გურამ ქაშაკაშვილი - მეტალურგი.
- ვახუშტი ქიზიყურაშვილი - მეღვინე ტექნოლოგი.
- ეგული ყოჩიაშვილი - მათემატიკოსი.
- ნიკოლოზ შანშიაშვილი - ფინანსისტი
- ელდარ შენგელაია - ინჟინერი
- აბრამ ხარაშვილი - იურისტი.

